

საბარათე ანგარიშებს შორის კონვერტაციის სქემა

1. ბარათით განხორციელებული ტრანზაქციისას, მასზე მიბმულ ანგარიშებზე ოპერაცია /ანგარიშებს შორის კონვერტაცია ხორციელდება შემდეგი სქემით:

- 1.1. საბანკო პლასტიკური ბარათის მეშვეობით განხორციელებული ტრანზაქციის თანხა ჩამოიჭრება იმ ვალუტის ანგარიშიდან, რომელშიც მოხდა თანხის გახარჯვა (ლარი, დოლარი, ევრო). თუ კლიენტს აქვს საბარათე ანგარიში გახსნილი ტრანზაქციის ვალუტაში, თანხა ჩამოიჭრება ტრანზაქციის თანხის შესაბამისი ვალუტის ანგარიშიდან, ხოლო იმ ნაწილის დაფარვა, რომელიც არ ყოფნის ტრანზაქციას, მოხდება ძირითადი (პრიორიტეტული) ვალუტის ანგარიშიდან.

მაგალითი #1: ბარათზე მიბმულია ლარის (პრიორიტეტი), აშშ დოლარის და ევროს ანგარიშები, შემდეგი ნაშთებით: 300 ლარი / 40 USD / 400 EUR.

მოთხოვნილი თანხა - 50 აშშ დოლარი

ტრანზაქციის განხორციელებისას ანგარიშიდან პირველ რიგში ჩამოიჭრება სრული თანხა 50 აშშ დოლარი, ხოლო 10 აშშ დოლარის უარყოფითი ნაშთის გადაფარვა განხორციელდება ლარის ანგარიშიდან, ვინაიდან ის არის პრიორიტეტული ვალუტა. კონვერტაცია განხორციელდება ტრანზაქციის ანგარიშზე ასახვის მომენტისთვის ბანკში დადგენილი კომერციული კურსის შესაბამისად.

ჩამოჭრილი თანხა - 50 აშშ დოლარი

ნაშთები ანგარიშებზე ჩამოჭრის შემდეგ 300 / -10 / 400, ნაშთები ანგარიშებზე კონვერტაციის შემდეგ 267* / 0 / 400.

შენიშვნა: *მაგალითში მოცემული კურსი: 1 USD=3.30 GEL **გაითვალისწინეთ, რომ შესაძლებელია ტრანზაქციის განხორციელებისას კონვერტაციის კურსი და ტრანზაქციის ანგარიშზე ასახვისას კონვერტაციის კურსი შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან.

- 1.2. **მაგალითი #2** თუ მოთხოვნილი თანხა აღემატება მოთხოვნილი თანხის შესაბამისი ვალუტის ანგარიშზე არსებულ ნაშთს და პრიორიტეტული ვალუტის ანგარიშზეც არ არის ხელმისაწვდომი ნაშთი, ტრანზაქციის თანხის ჩამოჭრა მოხდება რიგით მომდევნო ვალუტის ანგარიშიდან. ასეთი ტრანზაქციის დამუშავებისას, მიუხედავად იმისა არის თუ არა ტრანზაქციის შესაბამისი ვალუტის ანგარიშზე ნაშთი, თანხა ჩამოიჭრება ტრანზაქციის ვალუტის შესაბამისი ანგარიშიდან. ხოლო შემდეგ კონვერტაციის გზით ხდება ნაშთების გასწორება რიგით მომდევნო პრიორიტეტული ვალუტის ანგარიშიდან.

ლარი, აშშ დოლარი (პრიორიტეტი), ევრო, ნაშთები ანგარიშებზე: 50 ლარი / 0 USD / 100 EUR

მოთხოვნილი თანხა 150 ლარი

ჩამოჭრილი თანხა 150 ლარი

ნაშთები ანგარიშებზე ჩამოჭრის შემდეგ -100 / 0 100

ნაშთები ანგარიშებზე კონვერტაციის შემდეგ 0 / 0 / 75*

შენიშვნა: *მაგალითში მოცემული კურსი: 1 EUR=4 GEL (25 EUR ექვივალენტი კურსის შესაბამისად)

- 1.3. **მაგალითი #3** თუ ტრანზაქციის თანხის ვალუტა განსხვავდება საბარათე ანგარიშზე მიბმული ვალუტებისგან, ანუ ბარათზე არ არის ის ვალუტა რომელშიც ტარდება ოპერაცია, ამასთან საბარათე ანგარიში არის სამ ვალუტაში (GEL, USD, EUR) -, ასეთ შემთხვევაში თანხა ჩამოიჭრება აშშ დოლარში და თუ აშშ დოლარის ანგარიშზე არ არის ნაშთი, თანხ ჩამოიჭრება .ბარათზე განსაზღვრული პრიორიტეტულობის მიხედვით. ხოლო კონვერტაციის კურსი განისაზღვრება MC (MasterCard)-ის კურსით (აქ ლინკი დავამატოთ MasterCard კურსით),

ტრანზაქციის თანხის ჩამოჭრის ასახვა ხდება საგადამხდელო სისტემის მიერ ტრანზაქციის დამუშავების დღეს არსებული MC-ს კურსით.

შენიშვნა: გამომდინარე იქიდან, რომ თანხის ჩამოჭრა შესაძლებელია მოხდეს კლიენტის მიერ ტრანზაქციის გატარებიდან რამდენიმე დღის შემდგომ, გასათვალისწინებელია, რომ დაბლოკვის დროს არსებული მასტერქარდის კურსი და საგადამხდელო სისტემის მიერ ტრანზაქციის დამუშავების დღეს არსებული კურსი შესაძლებელია იყოს განსხვავებული.

მოთხოვნილი თანხაა 2000 ჩეხური კრონა. მაგ: 2000 CZK=100 USD

ლარი (პრიორიტეტი) ,აშშ დოლარი, ევრო

ნაშთები ანგარიშებზე 350 / 0 / 700

მოთხოვნილი თანხა - -2000 CZK

ჩამოჭრილი თანხა - 100* - აშშ დოლარი

ნაშთები ანგარიშებზე ჩამოჭრის შემდეგ: 350 /-100 / 700

ნაშთები ანგარიშებზე კონვერტაციის შემდეგ 20**/ 0 /700

შენიშვნა: *მაგალითში მოცემული კურსი: 1 CZK=0.05 USD **მაგალითში მოცემული კურსი: 1 USD=3.30 GEL

იმის გამო, რომ თანხის გამოყენება მოხდა საბარათე სისტემით გათვალისწინებული ვალუტისგან (ლარი, აშშ დოლარი, ევრო) განსხვავებულ ვალუტაში, თანხის ჩამოჭრა აშშ დოლარის ანგარიშიდან ხდება საგადამხდელო სისტემაში ოპერაციის შესრულების დღეს MC-ს მიერ დაფიქსირებული გაცვლითი კურსის შესაბამისად;

აღნიშნული კურსი ზოგ შემთხვევებში მოიცავს ბანკის საკომისიოს, რომელიც განისაზღვრება შემდეგნაირად: **მასტერქარდ ბარათის შემთხვევაში 3%**, ანგარიშებს შორის ვალუტის კონვერტაცია ყოველთვის კონკრეტული თარიღისთვის მოქმედი კომერციული კურსის შესაბამისად ხორციელდება.

- 1.4. მაგალითი #4: თუ კლიენტს სურს ბანკომატიდან მაგ. 100\$ განაღდება და ანგარიშზე აქვს მხოლოდ ეს თანხა და თუ პრიორიტეტული ვალუტა არის ლარი ან ევრო, მომხმარებელმა ბარათზე უნდა შეცვალოს პრიორიტეტი ვალუტა დოლარზე და ამის შემდეგ მოხდინოს თანხის გამოტანა. ასევე გასათვალისწინებელია, რომ კლიენტი სრულად იმ შემთხვევაში შეძლებს აღნიშნული თანხის გამოტანას თუ განაღდების საკომისიო აქვს 0%, სხვა შემთხვევაში უნდა შეავსოს ანგარიში მინიმ საკომისიოსთვის საჭირო თანხით და ისე მოახდინოს განაღდება. თუ საბარათო ანგარიშზე არ იქნება განაღდების საკომისიოსთვის საკმარისი თანხა, მომხმარებელი თანხის განაღდებას ვერ შეძლებს. [Mastercard Currency Converter | Currency Exchange Rate Calculator](#)